ტექნიკური მოთხოვნები: მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ:

• პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 3 (სამი) სარეკომენდაციო წერილი კონტრაქტორი კომპანიებისგან, ტენდერით შესასყიდი მომსახურების ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ, რომლიდანაც მინიმუმ ერთი მომსახურება მაინც უნდა იყოს განხორციელებული 2021 წლის 01 იანვრის შემდეგ.

მოთხოვნა ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტების შესახებ:

• პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტზე გაცემული კერძოდაცვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული საქმიანობის მოქმედი ლიცენზია.

სხვა დამატებითი მოთხოვნები:

• მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს იმ ზიანის ანაზღაურება,რომელიც შემსყიდველს მიადგა შესყიდული მომსახურების არაჯეროვნად განხორციელების შემთხვევაში.

• მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს პასუხისმგებლობის დაზღვევა ან საბანკო გარანტია მინიმუმ 200 000 (ორასი ათასი) ლარზე.

• პრეტენდენტის მიერ ტენდერში მონაწილეობის მიღება (წინადადების წარმოდგენა) ნიშნავს, რომ იგი სრულად ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; კერძოდ - პრეტედნენტი თანახმაა სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში მომსახურება განახორციელოს სატენდერო დოკუმენტაციის გასაწევი დაცვითი მომსახურების აღწერილობის, მიწოდების პირობების და ვადების შესაბამისად. აღნიშნული მოთხოვნა უცვლელად აისახება ტენდერის შედეგად გაფორებულ ხელშეკრულებაში.

• შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხდება თვის ჭრილში არსებული დღეების პროპორციულად.

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია:

• კონტრაქტორ კომპანიას უნდა ჰქონდეს სატელეფონო ცხელი ხაზი, რომელიც იმუშავებს 24 საათიან რეჟიმში

• ოფისის უძრავი და მოძრავი ქონების დაცვა 24 საათიანი გრაფიკით, სამუშაო, უქმე და სადღესასწაულო დღეების ჩათვლით.

• დასაცავ ტერიტორიაზე საფრთხის აღმოჩენა და აღმოფხვრა, წესრიგის, პერსონალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მოძრავი და უძრავი ნივთების, ცალკეული ღონისძიებების უსაფრთხოების დაცვა;

• თითოეულ ობიექტზე, გარდა წითელი ხიდის სერვის ცენტრისა, 24 საათიანი დაცვა უნდა გახორციელდეს მინიმუმ 3 მცველით, ხოლო წითელ ხიდზე მინიმუმ 4 მცველით , წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად.

• ლოტი # 1 - ში დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ყველა ან ერთეულ ობიექტზე, შესაძლებელია გარკვეული პერიოდით დაემატოს 3 მცველი , 12 საათიანი (დღის

საათები) სამუშაო ხანგრძლივობით, წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად ან დამკვეთის კუთვნილი ტექნიკური საშუალბებით, შესაძლებელია შემსრულებელს დაევალოს ვიდეო მონიტორინგის მეშვეობით, გარკვეული პერიოდით ობიექტის დაცვის გახორციელება, კერძოდ: სერვის ცენტრის მუშა პროცესის დროს და არამხოლოდ, გარეშე პირებისათვის ხელმისაწვდომ და მის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა . ვიდეო მონიტორინგის დროს აღმოჩენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედების დაფიქსირების შემდეგ, დაცვის ობიექტზე გაგზავნილი უნდა იქნას სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომლის ობიექტზე მისვლის დრო არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ დროს. აგრეთვე დაცვის მინიმუმ ერთ თანამშრომლის მიერ უნდა ჩატარდეს დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში 2 ჯერ, ობიექტის ადგილზემონიტორინგი.

- ლოტი # 2 და ლოტი #4 ში დამკვეთის კუთვნილი ტექნიკური საშუალბებით, შესაძლებელია შემსრულებელს დაევალოს ვიდეო მონიტორინგის მეშვეობით, გარკვეული პერიოდით ობიექტის დაცვის გახორციელება, კერძოდ: სერვის ცენტრის მუშა პროცესის დროს და არამხოლოდ, გარეშე პირებისათვის ხელმისაწვდომ და მის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა . ვიდეო მონიტორინგის დროს აღმოჩენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედების დაფიქსირების შემდეგ, დაცვის ობიექტზე გაგზავნილი უნდა იქნას სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომლის ობიექტზე მისვლის დრო არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს. აგრეთვე დაცვის მინიმუმ ერთ თანამშრომლის მიერ უნდა ჩატარდეს დღე-ღამის სხვადასვა მონაკვეთში 4 ჯერ, ობიექტის ადგილზე მონიტორინგი.

• ცოცხალი დაცვით მომსახურება უნდა გახორციელდეს შესაბამისი გამოცდილებისა და პასუხისმგებლობის მქონე მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მიერ.

• ცოცხალი ძალის თითოეული შეცვლა უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან .

- სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელების დროს დაცვის თანამშრომელი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ტანსაცმელი ფორმით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, ცეცხლსასროლი იარაღით ან/და ელექტრო-შოკით , ხელკეტით, ხელბორკილით და სანათით.

• მცველი ვალდებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას აღმოჩენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დაფიქსირების დროს დაუყონებლივ აცნობოს ,,შემსყიდველის" უფლებამოსილ წარმომადგენელს და საჭიროებისამებრ კომპეტენტურ ორგანოებს, ასევე აღნიშნულ პირთა მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა.

• მცველი ვალდებულია დაიცვას წესრიგი კომპანიის ოფისში. ვიზიტორთა დაშვება უზრუნველყოს მხოლოდ შემსყიდველის თანამშრომლის თანხმობის შემდეგ.

• მცველი ასევე ვალდებულია დაიცვას წესრიგი კომპანიის ავტოსადგომზე.

• მცველი ვალდებულია ავტოსადგომზე მოაწესრიგოს ვიზიტორთა ავტოსატრანპორტო საშუალებების პარკირება. (მხოლოდ წითელი ხიდის სერვის ცენტრისმიმდებარედ).

• მცველი არ უნდა იყოს დასაქმებულლი პარარელურად სხვა სამსახურში. აღნიშნული ფაქტის დაფიქსირება განიხილება ხელშეკრულების პირობის დარღვევად. რომელიც გულისხმობს ფულად ჯარიმებს.

შენიშვნა: აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა იმავდროულად ნიშნავს, რომ პრეტენდენტი თანახმაა სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური მოთხოვნების სრული დაცვით განახორციელოს მომსახურების მიწოდება.